



ბრძანება

N 648
07/11/2018

შპს „ექსპერტ აუდიტი“-სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) უფროსის 2016 წლის 23 დეკემბრის N406 ბრძანებით შპს „ექსპერტ აუდიტი“ (ს/ნ N245523214, იურიდიული მისამართი: ბათუმი, კოსტავას N10), დარეგისტრირდა აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (SARAS-F-693415). 2017 წლის 25 სექტემბერს წარმოდგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი (N PFL 567/17) თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრებოდა 2017 წლის 9 სექტემბრიდან - 2018 წლის 8 სექტემბრამდე. სამსახურის 2018 წლის 19 სექტემბრის წერილით N16/118977 შპს „ექსპერტ აუდიტი“-ს დამატებით ეთხოვა წარმოედგინა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე ინფორმაცია/დოკუმენტაცია. შპს „ექსპერტ აუდიტი“-ს მიერ განახლებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი (N PFL 958/18), რომელიც გაცემულია 2018 წლის 4 სექტემბერს, სამსახურს წარედგინა 2018 წლის 21 სექტემბერს, აღნიშნული პოლისით სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 2018 წლის 9 სექტემბრიდან - 2019 წლის 8 სექტემბრამდე.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში აუდიტორული ფირმის შესახებ უნდა იყოს ასახული ინფორმაცია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის, თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითებით.

„აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე დაზღვევის ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანის თაობაზე (მათ შორის, სადაზღვევო თანხის გაზრდის ან შემცირების შესახებ) აცნობოს სამსახურს ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის ან მასში ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ პუნქტის თანახმად სადაზღვევო პოლისი არის მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ.

კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურს ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ამავე კანონის

24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის IV თავით (რეესტრი) გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით აუდიტორული ფირმა ვალდებული იყო დაზღვევის ხელშეკრულების დადებიდან/განახლებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში შეეტყობინებინა სამსახურისთვის, თუმცა შპს „ექსპერტ აუდიტი“-ს მიერ აღნიშნული ინფორმაცია წარდგენილია ვადის დარღვევით - 2018 წლის 21 სექტემბერს. ზემოაღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-10 პუნქტის, მე-13 მუხლის მე- 6 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ექსპერტ აუდიტი“ დაჯარიმდეს 100 ლარით;
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს შპს „ექსპერტ აუდიტი“-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

დოლიძე იური



სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

